მემორანდუმი

მონაცემების მიწოდების თაობაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის

12 იანვარი 2016 წელი

ერთი მხრივ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის (შემდგომში – „სააგენტო“) წარმოდგენილი დირექტორის ბატონი **ზაზა სოფრომაძის** სახით,

მეორე მხრივ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში - ,,გამგეობა“), წარმოდგენილი მისი გამგებელი, ბატონი **გოგი ბარბაქაძის** სახით,

შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად.

ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N758 დადგენილების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის ,,დ” ქვეპუნქტით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ფორმირების წესი“-ს პირველი მუხლის მე-2 პუნქტით, მე-7 მუხლით და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლითა და დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 9 ნოემბრის N07/1430 წერილით, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) რეგისტრირებული, 0-დან 100 000- მდე სარეიტინგო ქულის მქონე

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების შესახებ ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდების შესაძლებლობა გამგეობისათვის, შემდეგი პირობებით:

1.1.1. „მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახები, მათი წევრ(ებ)ის ინდივიდუალური მონაცემების მითითებით;

1.1.2. ამ მუხლის 1.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დამუშავება ცხრილში დამოუკიდებელი ველების სახით შემდეგი მონაცემების ასახვა:

ა) ოჯახის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

გ) ოჯახის ფაქტიური საცხოვრისის მისამართი;

დ) ოჯახის სარეიტინგო ქულა;

ე) სარეიტინგო ქულის მინიჭების თარიღი;

ვ) ოჯახის წევრის პირადი ნომერი;

ზ) ოჯახის წევრის სახელი;

თ) ოჯახის წევრის გვარი;

ი) ოჯახის წევრის დაბადების თარიღი;

კ) ოჯახის წევრის სქესი.

მუხლი 2. ინფორმაციის მიწოდების წესი

2.1. „სააგენტო“ ,,გამგეობისათვის“, ამ მემორანდუმის პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდებას უზრუნველყოს მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ყოველთვიურად. არაუგვიანეს საანგარიშო თვის 5 რიცხვისა, „სააგენტო“ უზრუნველყოფს ,,გამგეობისათვის“ განახლებული ცხრილების მიწოდებას, რომელშიც ასახული უნდა იყოს მონაცემთა ბაზაში რეგისტირებული ოჯახების შესახებ ინფორმაცია, საანგარიშო თვის 1 რიცხვის მდგომარეობის მიხედვით, ამ მემორანდუმის პირველი მუხლით გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად.

2.3. ,,გამგეობისათვის“ მონაცემების მიწოდება ხორციელდება ელექტრომატარებელის საშუალებით.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში „სააგენტო“ კისრულობს ვალდებულებას:

3.1.1. პირველი მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდება უზრუნველყოს ამ მემორანდუმით დადგენილი პირობების შესაბამისად;

3.1.2. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი და არ დაუშვას რაიმე დაბრკოლების შექმნა ,,გამგეობის“ მონაცემების მიწოდების დროს, გარდა მოქმედი კანონმდებლობით და/ან აუცილებელი საჭიროებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აუცილებელ საჭიროებას განსაზღვრას „სააგენტო“, რაც უნდა უკავშირდებოდეს მოქმედი კანონმდებლობით „სააგენტოზე“ დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების შესრულების პროცესში წამოჭრილ/არსებულ საკითხებს;

3.1.3. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს ,,გამგეობასთან" საკონტაქტო პირი;

3.1.4. დროულად განიხილოს ,,გამგეობის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს;

3.2. „სააგენტო" უფლებამოსილია:

3.2.1. შეაჩეროს მონაცემების მიწოდება ,,გამგეობისათვის" თუ ეს განპირობებულია მისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასასწორებლად, აგრეთვე ამ მუხლის 3.1.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რის თაობაზეც აცნობებს მუნიციპალიტეტს;

3.2.2. შეწყვიტოს მონაცემების გაცემა, თუ მისთვის ცნობილი გახდა ,,გამგეობის" მიერ პირველი მუხლით გათვალისწინებული მონაცემების არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები;

3.2.3. ,,გამგეობას" მოსთხოვოს მემორანდუმის პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა.

3.3. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ,,გამგეობა" კისრულობს ვალდებულებას:

3.3.1. მემორანდუმის პირველი მუხლით გათვალისწინებული მონაცემები (ინფორმაცია) გამოიყენოს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება გამგეობას;

3.3.2. არ დაუშვას მიღებული ინფორმაციის (მონაცემების) გადაცემა სხვა მესამე პირზე, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამჟღავნება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება გამგეობას;

3.3.3. მიღებული ინფორმაციაში (მონაცემებში) არ შეიტანოს რაიმე ცვლილება და/ან კორექტირება;

3.3.4. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „სააგენტოსთან" საკონტაქტო პირი;

3.3.5. დროულად განიხილოს „სააგენტოს" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს;

3.3.6. შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს „სააგენტოს" ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში;

3.3.7. მიაწოდოს „სააგენტოს" მის მიერ მოპოვებული ან მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება „სააგენტოს" მიერ მიწოდებულ მონაცემებში/ინფორმაციაში არსებულ ხარვეზს ან მათ სრულყოფას;

3.3.8. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას წინამდებარე მემორანდუმის პირობები.

3.4. ,,გამგეობა" უფლებამოსილია:

3.4.1. მოთხოვოს „სააგენტოს" ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მონაცემების (ინფორმაციის) დროული მიწოდება, მემორანდუმით დადგენილი პირობების შესაბამისად;

3.4.2. გამოიყენოს მოწოდებული ინფორმაცია (მონაცემები) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

მუხლი 4. დამატებითი პირობები

4.1. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით, მხარეები ვადასტურებთ, რომ „სააგენტო" არ არის პასუხისმგებელი და მას არ შეიძლება მოეთხოვოს პასუხი ისეთ შესაძლო ზარალზე და/ან ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს გამგეობას და/ან ნებისმიერ მესამე პირს (პირებს), რომელსაც „გამგეობა" უზრუნველყოფს, ან შეიძლება უზრუნველყოს, ან შეიძლებოდა უზრუნველეყო რაიმე სახის (ფულადი ან არაფულადი) სოციალური დახმარებით (ბენეფიტით), რაც შეიძლბა წარმოიშვას მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე (მონაცემებზე) დაყრდნობით „გამგეობის" მიერ განხორციელებული ქმედების ან უმოქმედობის შედეგად.

4.2. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით „გამგეობა" ადასტურებს მზაობას საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში თვითონ უზრუნველყოს ნებისმიერი იმ ფიზიკური პირის (პირების) დაკმაყოფილება, რომელსაც შიძლება მიადგეს რაიმე სახის შესაძლო ზიანი და/ან ზარალი, „გამგეობის" მხრიდან განხორციელებული რაიმე მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რაც უკავშირდება „გამგეობის" მიერ მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე (მონაცემებზე) დაყრდნობით რაიმე სახის (ფულადი ან არაფულადი) სოციალური დახმარების (ბენეფიტის) გაცემას ან არგაცემას.

4.3. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტის (გაუქმების, ძალადაკარგულად გამოცხადების) შემთხვევაშიც.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

5.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

6.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან მემორანდუმი შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 7. მემორანდუმის მოქმედების ვადა, ცვლილებების და შეწყვეტის პირობები

7.1. მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის დასრულებამდე „გამგეობა" წერილობით დააფიქსირებს მემორანდუმით გათვალისწინებული ურთიერთობის გაგრძელების სურვილს, წინამდებარე მემორანდუმი ჩაითვლება გაგრძელებულად ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, თუ „სააგენტო" წერილობით არ დააფიქსირებს მემორანდუმის შეწყვეტის სურვილს. მითითებული პროცედურა მოქმედებს ყოველი ვადის ამოწურვისას.

7.2. წინამდებარე მემორანდუმის პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

7.3. მემორანდუმის თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს მემორანდუმი შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მემორანდუმის მონაწილე მხარეებისათვის გაგზავნის გზით.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

8.2. მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

8.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

8.4. „გამგეობა" აცნობიერებს მისთვის გადასაცემი (მიწოდებული) ინფორმაციის (მონაცემების) სამართლებრივ სტატუსს, პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას, პერსონალური მონაცემების დაცვისადმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ადასტურებს საკუთარ ვალდებულებას, რომ მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნების მისაღწევად, რაც საჭიროა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი ფუნქციების განხორციელებისათვის და არ დაუშვას მიღებული ინფორმაციის გადაცემა, სხვაგვარად გამჟღავნება ან გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

8.5. მემორანდუმის მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ მემორანდუმის ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების ან სხვა მსგავს საკითხებზე, თუ არ მოხდა შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

8.6. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის შეტყობინების გაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილობით შეტყობინებით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

8.7. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის გაუქმება/ბათილობა არ

გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი გაუქმებული/ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

8.8. წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლის დღიდან ძალას კარგავს „გამგეობასა“ და „სააგენტოს“ შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმება (ხელშეკრულება, მემორანდუმი და ა.შ.) რაც უკავშირდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების (პირების) შესახებ ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდების საკითხებს და ეს ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე მემორანდუმით.

8.9. წინამდებარე მემორანდუმი გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.10. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია 6 (ექვსი) ფურცლად, 2 (ორი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. მემორანდუმის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები

„გამგეობა“	„სააგენტო“
„დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა“	სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტო“
დმანისი, წმ. ნინოს ქ. N41	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144
საიდენტიფიკაციო კოდი N 228928391	საიდენტიფიკაციო კოდი N202178927
გოგი ბარბაქაძე გამგებელი	ზაზა სოფრომაძე დირექტორი